

ტექნიკური დავალება (TOR)

საქართველოს 5 რეგიონში ციფრული საჭიროებების შეფასების კვლევის საკონსულტაციო მომსახურება

შესავალი

- პროექტის სახელი: Log-In Georgia
- დამკვეთი: ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი“
- ტექნიკური დავალების სათაური: მოსახლეობის ციფრული საჭიროებების შეფასება
- ანგარიშვალდებულება: კომუნიკაციების კომისია (ComCom)
- ხელშეკრულების ხანგრძლივობა: ექვსი (6) თვე

Log-In Georgia პროექტის აღწერა

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკთან (WB) ხელი მოაწერა სასესხო ხელშეკრულებას საქართველოში Log-in Georgia პროექტის განხორციელების დასაფინანსებლად. პროექტი მიზნად ისახავს: 1. საქართველოს 1000-მდე სოფლისა და დასახლებული პუნქტის ინტერნეტიზაციას და სოფლად მცხოვრები 500,000-მდე ფიზიკური პირისთვის მაღალი ხარისხის ინტერნეტ მომსახურების მიწოდების შესაძლებლობის შექმნას; და 2. ციფრული უნარების განვითარებისა და ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობას.

პროექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

პროექტის პირველი კომპონენტი მოიცავს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობას და ციფრული განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების გაუმჯობესებას.

პროექტის მეორე კომპონენტს წარმოადგენს ინტერნეტისა და ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა მოსახლეობაში, რაც გულისხმობს ინტერნეტის გამოყენების პოპულარიზაციას, სოფლის მოსახლეობისთვის ციფრული ჩართულობის ხელშეწყობას და მათ ციფრულ საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული ტრენინგ პროგრამების შეთავაზებას. ასევე, მიზნობრივი ინტერვენციებით ქალების, სოციალური უმცირესობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ციფრული უნარების განვითარებას.

მესამე კომპონენტი უზრუნველყოფს პროექტის განხორციელების მხარდაჭერას, რომელიც გულისხმობს პროექტის საოპერაციო მართვას.

პროექტს ახორციელებს და ადმინისტრირებას უწევს არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი - „ოუფენ ნეტი“, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MOESD) ზედამხედველობითა და კომუნიკაციების კომისიის მონაწილეობით. პროექტის მეორე კომპონენტის აქტივობები, ამ ტექნიკური დავალების (TOR) ჩათვლით, ხორციელდება უშუალოდ კომუნიკაციების კომისიის მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის დეპარტამენტის (MLDD) კოორდინაციით.

პროექტის აღწერა

Log-in Georgia-ს პროექტის ფარგლებში მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის“ განხორციელებას, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის იანვარში დამტკიცდა. პროექტის მიზანია საქართველოს 1000-მდე სოფლისა და დასახლებული პუნქტის 500,000-მდე ფიზიკური პირისთვის მაღალი ხარისხის ინტერნეტ მომსახურების მიწოდების შესაძლებლობის შექმნა, ასევე ციფრული უნარების განვითარება და ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა.

სოფლად დასახლებულ პუნქტებში მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან წვდომის გაუმჯობესებასთან ერთად, პროექტი უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით ცნობიერების ამაღლებისა და ციფრული შესაძლებლობების განვითარების პროგრამაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს გაუმჯობესებული ინტერნეტკავშირის გამოყენების შემთხვევების რაოდენობის ზრდას, როგორცაა ციფრული ფინანსური მომსახურება, ელექტრონული კომერცია, ელექტრონული მმართველობის სერვისები და სხვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს ასევე მთავრობასაც, რათა შექმნას ციფრული ეკონომიკისთვის შესაფერისი გარემო.

იქიდან გამომდინარე, რომ აქტივობები განკუთვნილია სამიზნე რეგიონის მოსახლეობისთვის, მნიშვნელოვანია თავად მოსახლეობის ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის შინაარსი შემუშავდება ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვისა და ფოკუს ჯგუფების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, რათა შეგროვდეს ინტერნეტით სარგებლობის საბაზისო მონაცემები, შეფასდეს კონკრეტული საჭიროებები და გამოვლინდეს ინტერნეტის გამოყენების შემთხვევები პროექტის თითოეულ დასახლებულ პუნქტში.

ციფრული მხარდაჭერის პროგრამა მიზნად ისახავს: (1) დაინტერესებულ პირთა და მოსახლეობის რეგულარულ და აქტიურ ჩართულობას, რათა ინტერნეტით სარგებლობის მსურველთა რაოდენობა მიუახლოვდეს მოსახლეობის რაოდენობას; (2) კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებთან კოორდინაციასა და მათ ჩართულობას, რათა მოსახლეობაში გაიზარდოს ინტერნეტით სარგებლობის მოთხოვნა; (3) მოსახლეობაში ტრენინგების ჩატარებას ცნობიერების ამაღლების მიზნით და უკუკავშირის საფუძველზე მომხმარებელთა საჭიროებების განახლება; და (4) შესაბამისი საჯარო უწყებების პროგრამაში ჩართვას სახელმწიფო ელექტრონული სერვისების პოპულარიზაციისთვის.

ციფრული მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება აგრეთვე გაზრდის ინტერნეტისა და ციფრული სერვისების გამოყენებას ქალთა შორის, ეთნიკური და სოციალური უმცირესობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირებში. პროგრამა ხელს შეუწყობს ქალთა ჯგუფებთან თანამშრომლობას ადგილობრივ დონეზე, უზრუნველყოფს თემების მობილიზაციას, რათა გაიზარდოს ქალთა მხარდაჭერა ტექნოლოგიისა და ციფრული სერვისების გამოყენების მიმართ. მონაწილეობის მაქსიმალური შედეგის მისაღებად აღნიშნული აქტივობები განხორციელდება ადგილობრივად. განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართული იქნება მეწარმე ქალთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, მათი სახელმწიფო და კერძო ციფრულ პლატფორმების გამოყენების ხელშეწყობად, რესურსებისა და შესაძლებლობების გასაზრდელად.

კვლევითი დავალების მიზანი

კვლევითი დავალების მიზანია, Log-in Georgia პროექტის მეორე კომპონენტის, ციფრული მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ჩატარება, გურიის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და აჭარის სამიზნე დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობის ციფრული საჭიროებების გამოსავლენად. კვლევის შედეგები უნდა დაეხმაროს კომუნიკაციების კომისიას ციფრული მხარდაჭერის პროგრამის ტრენინგ მოდულების შერჩევასა და შექმნაში.

კვლევითი კომპანიის (კონსულტანტის) ვალდებულება იქნება მოსახლეობის ციფრული საჭიროებების კვლევის ჩატარება. კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული იქნება, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები და შესაბამისად შემუშავებული იქნება მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია.

პირველი ეტაპი მოიცავს რაოდენობრივ კვლევას, რომელიც ჩატარდება 5 რეგიონში და ფოკუსირდება სოფლად ინტერნეტის გამოყენების კონკრეტულ საჭიროებებზე ან იმ შესაძლო საჭიროებებზე, რომელიც შეიძლება იყოს ინტერნეტის გამოყენებასთან დაკავშირებული, პრობლემებსა და შესაძლებლობებსა და მეორე ეტაპისთვის კითხვების შემუშავებაზე. ასევე, რაოდენობრივი კვლევის ჩატარებისთვის შესაბამისი ინსტრუმენტის შემუშავებას, რომელშიც უნდა იყოს გათვალისწინებული დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფის შედეგები. **მეორე ეტაპი** მოიცავს თვისებრივ კვლევას, კერძოდ კი ფოკუს ჯგუფებს (FGD).

შევსებული კითხვარები და მონაცემები უნდა შეგროვდეს (CAPI მეთოდოლოგია) და მიეწოდოს კომუნიკაციების კომისიას ელექტრონული ფორმით (SPSS ბაზა), რომელიც საჭიროების შემთხვევაში, მათ დამატებითი ანალიზის გაკეთების საშუალებას მისცემს.

კვლევითი კომპანია ვალდებულია კვლევის ჩატარების საფუძველზე გასცეს პასუხი შემდეგ საკვლევ კითხვებს:

- რომელი ციფრული უნარების განვითარება სჭირდება ადგილობრივ მოსახლეობას?
- რომელი ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარების სურვილი აქვს მოსახლეობას?
- რომელია ის ძირითადი ელექტრონული სერვისები, რომლებსაც მოსახლეობა იყენებს / სჭირდება?
- რომელი სასარგებლო აპლიკაციების სწავლება უნდა მოხდეს მოსახლეობისთვის (მაგ: ელექტრონული საბანკო სერვისები, მეილი და ა.შ.)?
- აღიქვამს თუ არა სამიზნე რეგიონის მოსახლეობა ციფრული კომპეტენციების გაზრდის საჭიროებას?
- სამიზნე მოსახლეობის რა ნაწილს აქვს ინფორმაცია ინტერნეტის გამოყენების უარყოფით და დადებით გავლენაზე?

კონტრაქტორმა უნდა შეასრულოს შემდეგი დავალებები:

ა) გამოკითხვისა და ფოკუს ჯგუფების ჩატარება გურიის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის და აჭარის რეგიონებში. 1 ფოკუს ჯგუფის ჩატარება (თითოეულ რეგიონში) დაინტერესებულ მხარეებთან რაოდენობრივი კვლევის დაწყებამდე, საკვლევ ინსტრუმენტის შემუშავების მიზნით, ხოლო 4 ჯგუფი (თითოეულ რეგიონში)

რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზის შემდგომ, რათა პასუხი გაეცეს იმ კითხვებს, რომელზეც ანკეტირებამ ვერ მოაგროვა სრული ინფორმაცია. შეგროვებული მონაცემებით უნდა გამოავლინოს მოსახლეობის ციფრული საჭიროებები და შეაფასოს მოთხოვნა ციფრული უნარების განვითარების მიმართულებით, მათ შორის ფიზიკური პირების, მცირე მეწარმეების, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების, საზოგადოებრივი და სამოქალაქო ინსტიტუტების წარმომადგენლების გამოკითხვით.

ასევე დაადგინოს, არსებობს თუ არა რაიმე თვისობრივი განსხვავებები ზემოთჩამოთვლილი ჯგუფების მიდგომებს შორის კვლევის საკითხების მიმართ.

მოსახლების გამოკითხვა - გურიის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და აჭარის რეგიონებში, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით 1810 რესპონდენტის (14+ წ.) ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ მონაცემების შეგრობა.

რეგიონი	ინტერვიუერების რაოდენობა
გურია	350
იმერეთი	340
სამეგრელო-ზემო სვანეთი	360
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	380
აჭარა	380

- ფოკუს ჯგუფები (FGD) დაინტერესებულ მხარეებსა და მოსახლეობასთან - კონსულტანტმა უნდა ჩაატაროს 25 ფოკუს ჯგუფი (5 თითოეულ რეგიონში) და განსაკუთრებული ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული დაინტერესებული პირებისა და მოსახლეობის იმ ჯგუფებზე, ვისაც არ მიუღია მონაწილეობა რაოდენობრივ კვლევაში. თითო-თითო ფოკუს ჯგუფი დაინტერესებულ მხარეებთან ყველა რეგიონში ჩატარდება რაოდენობრივი კვლევის დაწყებამდე, რათა მონაცემების ანალიზის შედეგად შემუშავდეს რაოდენობრივი კვლევის კითხვარი. მნიშვნელოვანია თვისობრივი კვლევის ჯგუფში დაცული იყოს ასაკობრივი გრადაცია და ანალიზის დროს ყურადღება გამახვილდეს არის თუ არა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიდგომებს შორის სხვაობა.

ბ) შეგროვებული მონაცემების საფუძველზე ანალიზის განხორციელება, რომელიც მოიცავს:

- მიზნობრივი რეგიონების მიხედვით ჯგუფთაშორის შედარებებსა და პოტენციური ციფრული საჭიროებების ანალიზს;
- ციფრული უნარების მიმართულებით ხარვეზების განსაზღვრას;
- ციფრული გამოწვევების ჩამონათვალს;
- ტრენინგ მოდულების თემების ჩამონათვალს;
- სპეციალური ტრენინგ საჭიროების მქონე ჯგუფების გამოვლენას - მაგალითად, ქალები, უმცირესობები, სპეციალური საჭიროებების მქონე პირები და ა.შ.

კონსულტანტის ვალდებულებაა სავსე სამუშაოების განხორციელება და საბოლოო კვლევის ანგარიშის მომზადება. საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს შემაჯამებელ ანგარიშს მეთოდოლოგიისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ამოცანები და პასუხისმგებლობები

კონსულტანტი პასუხისმგებელია შემდეგ აქტივობებზე:

სიტუაციური ანალიზი

- პროექტის დოკუმენტაციის მიმოხილვა
- დაინტერესებული მხარეების რუკის შედგენა (mapping)

კვლევისთვის საჭირო ნებართვების მიღება და შეთანხმება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში)

- საჭირო იქნება ყველა ნებართვის მოპოვება, რაც აუცილებელია კვლევის ჩასატარებლად. ეს თავისთავად მოიცავს სახელმწიფო უწყებებისგან ნებართვების გამოთხოვას;
- საჭირო იქნება ადგილობრივი ფორმალობების დაცვა, ნებისმიერი საჭირო ნებართვის მიღება, რომელიც უკავშირდება კვლევის განხორციელებას, კვლევის ჯგუფის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევას, ხელფასს, გადასახადებსა და სხვა საჭიროების ნივთებს.

ყველა ინსტრუმენტის შემუშავება, პილოტაჟი და შერჩევის გეგმის განსაზღვრა

კონსულტანტი ვალდებულია დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგების ანალიზსა და სამაგიდო კვლევაზე დაყრდნობით მოამზადოს რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი და განახორციელოს ინსტრუმენტის პილოტირება რეალურ გარემოში. პილოტაჟის დროს ასევე უნდა მოხდეს ტექნიკური ხარვეზების გამოვლენა, თითოეული კითხვის ვალიდობისა და სანდოობის შემოწმება და კითხვარის საშუალო ხანგრძლიობის შეფასება. პილოტაჟი უნდა მოიცავდეს მინიმუმ 10 გამოკითხვას და ერთ FGD-ს. მას შემდეგ, რაც დამკვეთი დაამტკიცებს შემუშავებულ ინსტრუმენტს უზრუნველყოს CAPI მეთოდოლოგიის გამოყენებისთვის შესაბამისი სერვერის შერჩევა და სკრიპტის მომზადება.

გარდა აღნიშნულისა, კონსულტანტმა დეტალურად უნდა მოამზადოს შერჩევის გეგმა და სტრატეგია. შერჩევის ზომა მიწოდებული იქნება დამკვეთის მიერ სტანდარტული სტატისტიკური ფორმულის გამოყენებით და კონსულტანტმა უნდა მოამზადოს დეტალური შერჩევის გეგმა (95%-ანი სანდოობის დონე, მაქსიმუმ 5% ცდომილება) გურიის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის და აჭარის რეგიონის გეოგრაფიული რუკის საფუძველზე (სამიზნე დასახლებების სია მიწოდებული იქნება კომუნიკაციების კომისიის მიერ).

პროექტის განხორციელების დეტალური გეგმა

დეტალური გეგმა უნდა მოიცავდეს:

- შერჩევის ჩარჩოს დაცვის, ხარისხიანი მონაცემების მოპოვების, კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის უზრუნველსაყოფელი პროტოკოლები;
- ინფორმაცია პროექტის მენეჯმენტზე / მონაცემთა შეგროვების, შეგროვების პროცესის მონიტორინგისა და რეპორტირების ინსტრუმენტი;
- ორ კვირაში ერთხელ მონაცემების სარეზერვო ასლის შექმნისა და დამკვეთისთვის მიწოდების პროცედურები;
- საჭირო პროტოკოლის შემუშავება, რათა მონაწილეების რეკრუტი შესაძლებელი იყოს განმეორებით კვლევებში (follow-up-ის) საჭიროების შემთხვევაში;
- ზედამხედველობა და ადგილზე შემოწმება, რათა დადასტურდეს მონაცემთა შეგროვების ოქმების პროცედურის სიზუსტე და მონაცემთა შეგროვების ხარისხი.

კონსულტანტი ვალდებულია დამკვეთს წარუდგინოს მონაცემთა დამუშავების გეგმა სავსე სამუშაოების დაწყებამდე და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები გუნდის კომენტარების შესაბამისად. კონსულტანტმა მაქსიმალურად უნდა დაიცვას გეგმა კვლევის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი სიტუაციის გათვალისწინებით. თუ სავსე პირობები ამ გეგმის მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს, კონსულტანტი ვალდებულია აცნობოს დამკვეთს წერილობითი ანგარიშის ან პროგრესის ანგარიშის სახით.

სავსე სამუშაოების პერსონალის რეკრუტი / ინტერვიუების ტრენინგი

- ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფის ფასილიტატორების მობილიზება, რომლებსაც აქვთ კვლევის ჩატარების გამოცდილება და იცნობენ FGD-ის სპეციფიკას;
- ყველა ფოკუს ჯგუფის ფასილიტატორის, ინტერვიუების, ხელმძღვანელებისა და მონაცემთა მენეჯერების ტრენინგი, კვლევითი ჯგუფის მიერ მიწოდებული კითხვარების ადმინისტრირების შესახებ. ტრენინგი ასევე უნდა ემსახუროდეს გამოცდილი ინტერვიუებისა და მონაცემთა შეყვანის ოპერატორების სკრინინგს.

პირველი ეტაპი: რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა შეგროვება (CAPI Offline)

- დაინტერესებულ მხარეებთან ფოკუს ჯგუფების ჩატარება (5);

- საკვლევი ინსტრუმენტების მომზადება და შესაბამისი სკრიპტის დაწერა;
- საპილოტე გამოკითხვა - მინიმუმ 25 (5 თითოეულ რეგიონში);
- კვლევის ჩატარება სხვადასხვა ლოკაციაზე;
- კონტროლი - სისტემის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის კითხვარების შევსებისა და ჩანაცვლების პროცესის კონტროლს (GPS კოორდინატები, ხმის ჩუმი ჩამწერები და სხვა);
- ყველა შევსებული კითხვარის ელექტრონულად შეგროვება, შენახვა და ყოველდღიური განახლება;
- საველე სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო ობიექტის ქირაობა და შესაბამისი ხარჯის დაფარვა;
- ტექნიკური ანგარიშის მომზადება, რომელშიც აღწერილია დასრულებული ინტერვიუების რაოდენობა, გამოწვევები და ხელის შეშლელი ფაქტორები, საველე პროცედურის გეგმაში შეტანილი ცვლილებები და ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა.

საველე სამუშაოები:

- გურიის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და აჭარის რეგიონები (პირისპირ (F2F), შემთხვევითი შერჩევა);
- 1810 ინტერვიუ;
- დასახლებების რეპრეზენტატიული შერჩევა;
- ოჯახის შემთხვევითი შერჩევა, რესპონდენტის შემთხვევითი შერჩევა სახლში (შემდეგი ან ბოლო დაბადების დღის წესის გამოყენებით);
- ასაკობრივი ჯგუფი: 14+
- კვლევის გეოგრაფია: 114 სოფელი გურიაში (10), იმერეთში (7), სამეგრელო-ზემო სვანეთში (9), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში (37) და აჭარაში (51);
- გამოკითხვა ქართულ ენაზე.

ყველა შეუსაბამობისა და ხარვეზის შესწორება, რომელიც გამოავლინა მკვლევართა გუნდმა მონაცემთა ხარისხის შემოწმებისას, რისთვისაც შეიძლება საჭირო იყოს მისამართზე განმეორებითი ვიზიტი (მონაცემთა ხარისხის კონტროლის მექანიზმების სია გაზიარებული იქნება საველე სამუშაოების დაწყებამდე).

მეორე ეტაპი: ფოკუს ჯგუფები (FGD)

- ერთი FGD პილოტირება, რათა გაიტესტოს გაიდი და იდენტიფიცირდეს ხარვეზები ან საკითხთან დაკავშირებული დამატებითი ასპექტები;
- ჯამში 25 FGD ჩატარება გურიაში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთსა და აჭარის რეგიონში (5 თითო რეგიონში). ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შესარჩევად შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელმისაწვდომი შერჩევის მეთოდი ან თოვლის გუნდა (snowball). შერჩეული 5 FGD უნდა მოიცავდეს დაინტერესებული მხარეების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებს, ხოლო 2 ჯგუფი უნდა ჩატარდეს მოსახლეობასთან.

- ფოკუს ჯგუფების შედეგების ელექტრონულად დოკუმენტირება (ტრანსკრიპტების გაკეთება);
- ტექნიკური ანგარიში - დამკვეთთან ანგარიშის წარდგენა ფოკუს ჯგუფების შედეგების, გათვალისწინებელი პრობლემების, ახალი თემების გაჩენისა და ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ.

ფოკუს ჯგუფების დეტალები:

- მიწოდებული ჯგუფების მიხედვით დაინტერესებული მხარეებისა და ფოკუს ჯგუფების მონაწილეების რეკრუტი
- მონაწილეთა რაოდენობა 1 ჯგუფში: 6-8 (2 რეზერვი მონაწილე თითოეული ჯგუფისთვის)
- FGD რაოდენობა: 25
- FGD ხანგრძლივობა: 1,5-2 საათი
- ასაკობრივი ჯგუფი: 14+
- მოდერაცია ქართული ენაზე

FGD უნდა მოიცავდეს:

- შერჩეულ რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას, მათ შორის: მამაკაცი და ქალი, ოჯახები, რომელთა სათავეში ქალია, ხანდაზმული ადამიანები, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ;
- სოციალური და ეთნიკური უმცირესობები;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;
- დაინტერესებული მხარეები, მათ შორის მცირე და საშუალო მეწარმეები, ადგილობრივი ინტერნეტ სერვისის პროვაიდერები.

** გაითვალისწინეთ: ფოკუს ჯგუფის მონაწილეები უნდა წარმოადგენდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს კვლევის ამოცანაა შერჩევა მოიცავდეს სრულ გენერალურ ერთობლიობას, მათ შორის სოციალურ და ეთნიკურ უმცირესობებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და ა.შ. აღნიშნული საკითხი აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული როგორც რაოდენობრივი კვლევის შერჩევის გეგმის მომზადებისას, ასევე ფოკუს ჯგუფებისთვის მონაწილეების რეკრუტის დროს.*

შედეგების მომზადება და ანგარიშგება

ხარისხის კონტროლი და მონაცემთა დამუშავება

- კონსულტანტმა უნდა გამოიყენოს შეთანხმებული კითხვარი და გაიდი;

- მონაცემთა შეგროვება განხორციელდება ადგილზე პირისპირი კარდაკარ ვიზიტების საშუალებით (d2d);
- კონსულტანტი პასუხისმგებელი იქნება მონაცემთა კონტროლზე;
- ასევე, უზრუნველყოფს სისტემას, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს მონაცემთა გამეორების / გადაკოპირების შეცდომებს, რომლებიც გამოწვეულია არასწორი კოდირებითა ან მონაცემთა არასწორი შეყვანით.

კვლევა არ ჩაითვლება შესრულებულად, თუ შემთხვევითი და რეპრეზენტატიული შერჩევის საფუძველზე დადგინდა, რომ:

- კითხვარების 1% ან მეტი შევსებულია კომპანიის მიერ ადგილზე ვიზიტის გარეშე;
- ნაჩვენებია, რომ კითხვარების 1% ან მეტი არათანმიმდევრულად არის შევსებული.

დამკვეთი გამოიყენებს საკუთარ უფლებას გადაამოწმოს ინტერვიუების 15-დან 30 % დამოუკიდებლად (კომპანიის მიერ შესრულებული კონტროლის დამატებით). თუ გამოკითხვის მონაცემები არ აკმაყოფილებს დამკვეთის მოთხოვნებს მონაცემთა მთლიანობის თვალსაზრისით, დამკვეთი იტოვებს უფლებას მოითხოვოს სამუშაოს განმეორება ან არ გადაიხადოს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება (ანაზღაურდება ნებისმიერი საწყისი გადასახადი).

კონსულტანტმა, სავსე სამუშაოების დასრულების შემდგომ უნდა წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში ანალიტიკური სახით, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება თითოეული რეგიონისთვის გამოვლენილი საჭიროებები, ტრენინგ მოდულების თემატიკა და რეკომენდაციები.

საბოლოო ანგარიში უნდა შეიცავდეს როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის შედეგებს და პასუხობდეს კვლევის კითხვებს. რაოდენობრივი კვლევის ანალიზი უნდა მოიცავდეს აღწერით და დასკვნით სტატისტიკას, რაც იმას ნიშნავს, რომ შედეგები უნდა იყოს წარმოდგენილი სტანდარტული აკადემიური ფორმატით და მოიცავდეს შემდეგ სტატისტიკურ გამოთვლებს – სიხშირეები, პროცენტები, ცენტრალური ტენდენციის საზომების მონაცემები შესაბამისი ცვალებადობის საზომებით, ჯგუფთაშორის შედარებებს (T-ტესტი, ANOVA ტესტი, Chi-Square, Mann Whitney u ტესტი და ა.შ.), (ნაწილობრივი) კორელაციები და რეგრესია. **საბოლოო ანგარიშში მონაცემები და დასკვნები დამოუკიდებლად უნდა იყოს წარმოდგენილი თითოეული რეგიონისთვის და მოიცავდეს ჯგუფთაშორის დემოგრაფიულ შედარებას** (სქესი, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ასაკი, განათლება და ა.შ.). დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით შედარება უნდა განხორციელდეს სათითაოდ თითოეული რეგიონის შერჩევისთვის, თუმცა ასევე გამოკვეთდეს ზოგად ტენდენციებსაც.

მოსალოდნელი დოკუმენტური შედეგები (Deliverables)

	მოსალოდნელი დოკუმენტური შედეგები	განრიგი
0	პროექტის განხორციელების გეგმა (დრო, საქმიანობის თანმიმდევრობა და ა.შ.)	ხელშეკრულების გაფორმება
1	<p>კვლევის განხორციელების ინსტრუქციის დასტური, დაზღვევისა და ნებართვების მოპოვება კვლევისა და მონაცემთა შეგროვების სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსამზადებელი სამუშაოები • კვლევითი ინსტრუმენტები (კითხვარი და FDG გაიდები) • საპილოტე მონაცემთა ბაზა 10 • რეკრუტის კითხვარი და რეკრუტის კრიტერიუმები • გეგმის წარდგენა • საველე სამუშაოების პერსონალის სია 	<p>+4 კვირა</p> <p>+2 კვირა</p> <p>დოკუმენტების შეთანხმებისთვის</p>
2	<p>(ა) საველე სამუშაოების პროგრესის ყოველკვირეული ანგარიშები და პირველადი მონაცემთა ბაზის მიწოდება, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექნიკური ანგარიში, რომელიც მოიცავს საველე სამუშაოებისა და მიზნობრივი და შემთხვევითი შერჩევის საკითხებს • ტექნიკური ანგარიში კვლევისა და ხარისხის კონტროლის ჩატარების შესახებ • FGD-ების ვიდეო ჩანაწერები • ტრანსკრიპტები (ქართულად, Word) <p>(ბ) თანმიმდევრული კონტროლის შედეგად მიღებული შესწორებები</p> <ul style="list-style-type: none"> • გაწმენდილი მონაცემთა ბაზა (SPSS, R, STATA ან მსგავსი პროგრამები) 	<p>+ 5 კვირა</p> <p>+1 კვირა</p> <p>რევიზიისთვის</p>
3	<p>საბოლოო ანალიტიკური ანგარიში: საბოლოო ანგარიში (ქართულ და ინგლისურ ენებზე, დასკვნების პრეზენტაცია Word ანგარიში და PPT) – რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების გაერთიანება.</p>	<p>+ 4 კვირა</p> <p>+2 კვირა</p> <p>დოკუმენტების შეთანხმებისთვის</p>

მონაცემთა კონფიდენციალურობა

კვლევის მიზნებისათვის შეგროვებული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის კომფიდენციალობა მკაცრად იქნება დაცული და გამოყენებული მხოლოდ დავალების შესრულების მიზნით. ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლება ეკუთვნის კომუნიკაციების კომისიას. წერილობითი მასალების შინაარსი, რომლებიც მიიღება და

გამოიყენება ამ დავალების შესრულებისას, მესამე პირებს არ გადაეცემათ კომუნიკაციების კომისიის წერილობითი თანხმობის გარეშე.

დაცული იქნება საქართველოს კანონები კონფიდენციალურობის, საკუთრების და მონაცემთა დაცვის შესახებ.

კომუნიკაციების კომისიის პასუხისმგებლობები

- კვლევის დაწყებამდე ტრენინგის ჩატარება ამოცანების, დავალებებისა და მოდერაციის შესახებ, გაიდის დეტალური განხილვა
- კითხვარის დამტკიცება
- გაიდის დამტკიცება
- სკრინინგის შემუშავება
- მიზნობრივი ჯგუფის განსაზღვრა
- საველე სამუშაოებსა და FGD-ზე დაკვირვება
- FGD მიზნობრივი ჯგუფების სიის მიწოდება
- საბოლოო ანგარიშის დადასტურება.

კონსულტანტის კვალიფიკაცია

კონსულტანტს უნდა გააჩნდეს შემდეგი კვალიფიკაცია:

- იურიდიული სტატუსი, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს განახორციელოს კვლევები საქართველოში;
- შინამეურნეობებში, მცირე და საშუალო საწარმოებში, საზოგადოებრივ და სამოქალაქო ინსტიტუტებში კვლევის ჩატარების გამოცდილება; კონსულტანტს უნდა ჰქონდეს ადგილოვრივ კონტექტში კვლევის განხორციელების გამოცდილება და იცნობდეს საველე სამუშაოებების სპეციფიკას;
- საქართველოს რეგიონებში კვლევის ჩატარების გამოცდილება;
- კონსულტანტს უნდა ჰქონდეს გამოცდილი ინტერვიუების, სუპერვაიზერების და მენეჯერების მობილიზების შესაძლებლობა. მომწოდებლის შეთავაზება უნდა მოიცავდეს საველე სამუშაოებსა და მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი მენეჯერების სახელებსა და მათ სამუშაო აღწერილობას ამ პროექტში;
- მონაცემთა ხარისხის კონტროლის ეფექტური სისტემა, რომელზე წვდომაც ექნება ComCom-ის გუნდს შეზღუდვის გარეშე.

ზოგადი გამოცდილება – კვლევითი გამოცდილება საერთაშორისო პროექტებში;

სპეციფიკური გამოცდილება – მინიმუმ 5 მსგავსი პროექტი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევისა და მონაცემთა შეგროვების კოორდინაცია და / ან მენეჯმენტში (სულ მცირე 2 კვლევა სოფლის მოსახლეობასთან).

თანამშრომელთა საჭირო კვალიფიკაცია

კონსულტანტს უნდა შეეძლოს ექსპერტთა გუნდის მობილიზება, რომლებიც ამ პროექტზე იქნებიან პასუხისმგებელი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. გუნდი უნდა შედგებოდეს მონაცემთა შეგროვების მიმართულებით გამოცდილი წევრებისგან.

ძირითადი გუნდი:

- ჯგუფის ხელმძღვანელი / პროექტის მენეჯერი
- პროექტის კოორდინატორი
- მონაცემთა ანალიზის ექსპერტი
- სტატისტიკოსი
- სკრიპტის დამწერი
- მონაცემთა გაწმენდის/დამუშავების სპეციალისტი
- დარგობრივი ექსპერტი, რომელსაც უნდა შეეძლოს გუნდისთვის მხარდაჭერისა და მითითებების გაცემა კითხვარების გადახედვისა და მონაცემთა ანალიზის დროს.

დამხმარე გუნდი:

- მონაცემთა შეგროვების მონიტორინგის სპეციალისტების საკმარისი რაოდენობა
- მინიმუმ 4 მოდერატორი
- ინტერვიუერების საკმარისი რაოდენობა

** შესაძლებელია ერთი თანამშრომელი ითავსებდეს რამდენიმე ფუნქციას.*

ძირითად გუნდს უნდა ჰქონდეს:

- მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება კვლევის სფეროში;
- ექსპერტთა გუნდის ზედამხედველობის, გუნდთან ინტერაქციის, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან (მათ შორის, სამთავრობო, კერძო და პარტნიორი სააგენტოებთან) მუშაობის გამოცდილება, იმისთვის რომ უზრუნველყოს კონტრაქტის შესრულება, პრობლემების გადაჭრა და კონტრაქტის შედეგების დროულად მოწოდება;
- ცვლილების მართვის უნარი;
- ქართული და ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა, ზეპირი პრეზენტაციების წარდგენისა და მაღალი ხარისხის წერილობითი მოხსენების წარმოების უნარი.

გარდა ამისა, მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს წინა სამი კვლევითი პროექტის აღწერა, რომლებიც მათ ბოლო 3 წლის განმავლობაში დაასრულეს. თითოეულმა წარმდგენმა უნდა შეავსოს ქვემოთ მოცემული ცხრილი და დაურთოს ბიუჯეტის ფაილს.

კვლევის სათაური <i>(მაგ.: მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა)</i>	კვლევა პოპულაცია მახასიათებლები <i>(მაგ.: 15-17 წლის ბიჭები და გოგონები)</i>	სპონსორი სააგენტო <i>(მაგ.: USAID)</i>	კვლევის ჩატარების თარიღი <i>(მაგ.: გაზაფხული 2019)</i>
1)			
2)			
3)			

დაინტერესებულმა მხარემ (კონსულტანტმა) უნდა დაადასტუროს ინფორმაცია, რომ კვალიფიციურია მომსახურების შესასრულებლად და აკმაყოფილებს მინიმალური საჭირო გამოცდილების კრიტერიუმებს.